

დროშა

გავრდის უკველ დღე ორშაბათს ვარდა.

«დროშის» რედაქცია — სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.
 ხელის მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეუბანში მოწერისათვის ადრესი: В. Тифлисъ, въ редакцію «Дрошѣ»
 ფასი: წელით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ., 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ფასი განცხადებისა: სტრუქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს; რუსულს და სხვა ენებზე.
 თუ საქართველო მოითხოვს, რედაქცია გააწერებს და შეამოწმებს დასაბუთებულ გამოცხადებებს. დაუბუთებელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბუთავს.
 რედაქცია «დროშისა» დღის 5 კაპიკო

«დროშა» თითო ნომრით იყიდება თბილისის გარდა:
 ქუთაისში—ჭილაძის წიგნის მაღაზიაში, ბათუმში—ალბიგოვის მაღაზიაში, ზღვისპირაზე,
 გორში—საზოგადოების დეპოში, სასურში—რკინი-გზის ბუფეთში—ძნელაქესთან.

ტფილისის უკველს (სამილ გოგილაძის წინამძღოლობით) უმორჩილესად სთხოვს თავად აზნაურობას ტფილისის უკველისას, მობძანდენ კვირას ცხრამეტს ამა თებერვლისას, თერთმეტს საათზედ დილით, განსაკუთრებითს უკველის თავად-აზნაურობითს შეკრებილებში, ტფილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულა ბანკში, შესადგენლად იმ სიებისა, რომლებითაც უნდა გამოერთვათ თავად-აზნაურობას ფული, სასარგებლოდ თფილისის კეთილშობილთა დეპუტატთა კრების და მარშლების განცხადებისათვის და აგრეთვე აღსაზღვრად თავად-აზნაურობის შვილებისა; — ამასაც ვაცნობებ, რომელნიც თავად-აზნაურნი არ ინებებენ შეკრებილებში დასწრებასა, უიმათ თანადასწრობლივ შესდგება სიები, ზემოთ მოხსენებულ საქმის საჭიროებისათვის.

პაპასიაში მართლ-მადიდებლობის აღმადგენელი საზოგადოება და მისი ნაყოფი.

თბილისი, 15 თებერვალს.
 ბევრმა ჩვენმა მკითხველმა არც კი იცის ამ საზოგადოების სახელი; ბევრმა იქნება მხოლოდ მაშინ შეიტყუა, რომ ეს საზოგადოება არსებობს; მოქმედობს, სკოლებსა ჰხსნის და ჰხურავს, როდესაც წაიკითხა, რომ ამ საზოგადოების რჩევა, ანუ კომიტეტი აპირებს ყველა თავის სკოლების დახურვას, რომელიც კი პავსიის მთიან ქვეყნებში ჰქონდა გამართული. ამ გვარი დაბოლოება «საზოგადოების» მოღვაწეობისა ექვსა ჰბადავს მკითხველებში, — იქნება ამ საზოგადოებას არა ჰქონდა შეძლება და მხოლოდ წვერებისაგან თითო გროზობით მოგროვილი ფულით მოქმედობდა, მაგრამ ბოლოს რომ ვერას ვახდის საყოველთაო გულ-გრილობასთან, ისე არჩია თავის მოქმედების ასპარეზი უფრო ვიწროდ შემოეფარებოდა და იქნება ეს პირველი ნაბიჯი საზოგადოების მოქმედების სრული მოსპობის ნიშანიც იყოსო.

ზოგი მართალია ზემოდ-თქმულში,

ზოგი არა. მართალია, რომ მართლ-მადიდებლობის აღმადგენელი საზოგადოებამ სრული გულ-გრილობა დაიხსურა და ბევრმა, ძალიან ბევრმა, არც მისი მოქმედებისა იცის რაღაც, არც მისი არსებობისა; მაგრამ ეს კი არ შეგვიძლიან ვთქვათ, ვითომ საზოგადოებას საშუალება არა ჰქონდეს და იმიტომ ასე საცოდავად დღე უმოკლდებოდეს.

პავსიაში მართლ-მადიდებლობის აღმადგენელი საზოგადოება დაარსდა 1860 წელს. უმაღლესი პირნი არ იშურებდნენ მისთვის ყოველგვარს შემწეობას; მარტო განსვენებულმა ხელმწიფე იმპერატორსაც შესწირა ამ საზოგადოებას 120,000 მანათზე მეტი; ხაზინაც არ აკლებდა ხელის-შეწყობას, როგორც ყოველ წლიური შემწეობით, ისე ერთ-დროითი დახმარებით. ამას გარდა, 1882 წელს ამ საზოგადოების წევრთა რიცხვი იყო 1051 და საწევრო ფული სხვა-და-სხვა კატეგორიის წევრთათვის იყო წელიწადში 500,250 და 100 მანათი. მართის სიტყვით, თავის დაარსებამდე საზოგადოებას ჰქონია შემოსავალი 3,336,987 მან. ეს ფული ცოტა

არ არის და კარგს ნაყოფსაც მოიტანდა, თუ კი «საზოგადოება» თავის საგანს რიკიანად შეუდგებოდა.

ბრცსაგანია «საზოგადოებისა» ისე უმნიშვნელო და უსარგებლო, რომ ბევრი თანამგრობელი და დამხმარე მუშაკი არ მოეპოვება. «საზოგადოებას» აზრად აქვს, გარდა ეკლესიების აგებისა და განახლებისა, თარგმნა და ბეჭედა სასულიერო წიგნებისა ადგილობრივ ენებზედ, სხვათა შორის, ქართულზედაც, და მათი გავრცელება, სკოლების დაარსება პავსიის მთებში და სხვ.

თუმცა ხსენებულს საზოგადოებას შეძლება კარგი ჰქონია, აზრით, ღირსი თანაგრძობისა, მაგრამ, როგორც ვთქვით, ვხლანდელი სურათი ამ საზოგადოების მდგომარეობისა სამწუხარო სურათს წარმოადგენს. მარტო ისიც კარა ამ დაკენის დასადგენად, რომ რაც თუ დაოთხი წლის განმავლობაში მოიმოქმედა ამ საზოგადოებამ, ვხლა აპირებს ამ წამოქმედარის ფუჭად ჩატარებას და ყველა თავის სკოლების დახურვას. მეორე საგნისა — წიგნების თარგმნასა და ბეჭდვისათვისაც თავი დაუწებებია მას, რად-

«დროშის» ჭეშქარი, 15 თებერვალი.

თეატრის ხუთი
 (გორის კრიტიკის შესახებ).
 ყველსა ხერხით ამოიყვანს ენა უკვილი მოთხარა*
 (შემდეგ*)

სიების კითხვა შეაჩერეს, რადგანაც მომეტებული ნაწილი თავად-აზნაურობისა იმ აზრისა იყო, რომ უთუოდ მიეღობო იგინი და წარედგინათ ჯეროვანს ალ-გს დასამტკიცებლად. რამდენიმე პირი ასწივ დასწივეს საზოგადოების თხოვნით; უფრო ბევრი აიყვანეს მალალ კატეგორიებში, ვინც ჩამოიქვანეს; დაბალ კატეგორიაში სულ ორი-სამი თუ ჩამოიყვანეს. ბოლოს შეიქმნა ლაპარაკი იმაზე, რომ დეწერათ გადასახადი იმ თავად-აზნაურთა ქალებს, რომელნიც გათხოვილან და მზითვეში გაჰყოლიათ მამული. ზოგი იძახდა, რომ უნდა დაეწეროს, ზოგი რომ, რადგანაც ქმრებს აწერიათ, მათს ცოლებს ნულარ შეგაწერათო. მაგრამ რადგანაც თ. ნ. დ. ჩასწერა პირველ კატეგორიაში თავის ცოლი, რომელსაც არაფითარიმე მამული არ მოჰყოლია. მზითვეში, — ზოგიერთებმა მოითხოვეს, რომ უნდა ჩაიწერნენ ქალებიცაო. აქ დაასახელებს ის ქალები, რომელთაც ძალიან რიკიანი მამულ-დედული აქვთ, შემოსავალიც კარგი. — რადგანაც, ბატონებო, აქ არიან ზოგიერთა ისეთი პირნი, რომელთაც აქვთ ცოლის მამულიც, კარგი იქნება ეკითხოთ იმათსურთ, თუ არა შეწერვა გარდასახა-

დისა; ვკითხოთ, იქნება იკისრონ, სთქვა ვილამაც.
 ამ კითხვაზე, სხვათა შორის, წამოაღება ბ. მაზრის უფროსი, რომელიც ამას წინად ვახლდათ თავად-აზნაურთა წინამძღოლად. ღიად, წამოაღება და სთქვა ისეთი სიტყვები, რომ გაგვაკვირვა ყველანი. ნეტავი შენა სიტყვებით, მკითხველო, მე იმ ეჟად იქ არ დავსწრებიყავ და არ გამეგონა, — არ გამეგონა იმიტომ, რომ ისინი წარმოსთქვა ჰქუიანმა, გაგებულმა და ყველასაგან საყვარელმა კაცმა, რომელიც (სიყვარული) მან მოახვეჭა წინ-მძღომლობის დროს. მს, რა გავწყობა: ყური მიტომ არ იზრდება, რომ ბევრი უმსგავსებდა ესმასო.

— მს საქმე ჩემი დაწყებულიაო; მე დაეწყო. მული შემტყვა, მაგრამ ყველამ იცით ჩემი მდგომარეობა, რომ არ შემძლიან სხვა გადასახადი დაეწერო იმის გარდა, რაც მამულიაო. (მე იგი ცოლის მამულზე მე არას შევეწერო) მძანა მაზრის უფროსმა თ. ა. ა.—მა.

იქნება, ბატონს თ. ა. იმის თქმა არ უნდა, რომ მე არაფრად მებრტნაეება თქვენი სკოლა და მასთვის ფულების გადახდაო; იქნება, იგი თავის წინამძღოლობის დროს ღვაწლს თავად-აზნაურობას არ აყვედრიდეს; მაგრამ და მაგრამ ხალხმა სულ სხვა ნაირად გაიგო მისი სიტყვები. როდესაც ბევრმა თავად-აზნაურთაგანმა, გატაცებულმა ამ ფრიად წმინდა და სასიქადულა აზრით, როგორც არის შეილებინ აღზდა, მოიმატეს სიხარულით და გულის სიწმინდით, — მოიმატეს ძალიან ღარიბებმაც, — მაშინ, რასაკვირველია, ბ. ა. ა.—ს სიტყვებს

სრულებით სხვა ნაირად ახსნიდა ხალხი. — შეელანი გაგვაოცა ამ ამბავმა, სახტად დაერჩით.

— მს ყვედრება რალა იყო, თორემ სხვა კიდევ — კიდევ! არ უნდა ეკადრია, შენმა მხემ, არა — გაიძახოდნ აქეთ იქითგან.

ამ კითხვაზე კონტი აღარავის დაუძრავს. მეტიც იქნებოდა საზოგადოების მხრივ, უფრო მაშინ, როდესაც იმისთანა პირმა იმედი გაუცრუვა. ჩამოვარდა მითქმა-მოთქმა; ჩეულებრივი ყვირილი და ყყანი.

ჩიტო კალატოზიშვილი. მე ბევრა მაწერია; მე ოც თუმანს არ მიგეცე. მთ არ მომიკლებთ, არც მგას მიგეცე.

ჩიტო ძალატოზიშვილის სიტყვა მისი ტოლი აზნაურ შეილებსთვინ, ყველა ქართლელმა იცის, რომ ბეჭედიან; სახარების სიტყვებზე უძლიერესია. აზნაურობა დამწივდებული და დამინებული იყო, მაგრამ ჩიტოს სიტყვებმა კვლად აღუძრა პარადი ინტერესები, წამოვიდა წინ და მოადგა წინამძღოლის სტოლს. წინამძღოლი ჩეულებრივად სწერს, არ აქცევს ყურადღებას ხალხის ჩოჩოლს. ის დარწმუნებულია, რომ მოწინააღმდეგე მხარე მოკლულია, რომ მას აღარ შეუძლიან საქმის ჩაშლა და იმიტომ იგი თავისთვის ადგენს პროტოკოლს.

ჩიტომ გაამხნევა ზოგიერთა წინამძღოლი მემარჯვენეთა. იმათ, შემდეგ რამდენჯერმე ცივის წყლით სხურებისა, გამოიღვიძეს; წელში გაიშალნენ გაზაფხულის მწერივით და აიმაღლეს ხმა, მაგრამ მოსწრებულმა, ქარივით მალმა, მარცხენა მხარემ აღარ აცადა და მიმართა იერიშით

იქით, სადაც მას შიშეა მოელოდა, მიმართა ყვირილით:

— ჩიტო, არ დაგვლუბო! არ დაგვლუბო, ჩიტო! არ გეკადრება, არ გეკადრება! აქ მისცივდენ ამ ლომ-კაცს, ამ ვეშაპს; შემოეხევიენთ გარს, მიაწინდ და არ დაგვლუბო ჩიტო! — ძახილით გამოიყვანეს ნაპირას, წელვამ ხალხისამ გემი ნაპირას გამოაგლო.

სამინელს სურათს წარმოადგენდა ეს მართლა და ლომ-კაცა; სამინელი ზორბი, ბრვე, მაღალი კაცი, რომელიც ნახევარ არმინზე მაღლა მოჩანდა და ახარჩენებზე, თითქოს მიცურავდა ზალაში, მიჰქონდა თან ხალხი და ელიმებოდა ნიშნად იმისა, რომ ეს ამოღენა ქმნილება დაიპოვრილა სიტყვამ. მს ყვირილი უნებლიედ მოაგონებდა კაცს «სამშობლოს» ზოგინა დიკვანს, რომელსაც ქართლელთა ჯარი, შეთქმულნი მამულის დასახსნელად უყვირინ: «არ დაგვლუბო, ზოგია, არ დაგვლუბო!»

ს. ა. — შვილი. უნდა სიები გადაისინჯოს; ცუდად არის შედგენილი; მე რად უნდა მიგეცე ორმოცი თუმანი; არჩეს ახალი კოძისი, რომ იმან გაასწაროს, რადგანაც ეს სიები მიადგამით არიან შედგენილი. სიტყვა მიადგამით ბ. ა. — მა სთქვა ერთი სხვა ნაირად, გამეფრული კილოთი, რომელმაც ძლიერ ააღლევა ხალხი.

თ. რ. ერისთავი. მთხოვეთ ცოტა ზდილობიანად ილაპარაკოთ. ზერ ლაპარაკი უნდა ისწავლოთ და მერე მოჰყვეთ საზოგადოებაში ბაასს. თქვენ ქართული არ გესმით, თორემ მაგ სიტყვას «მიდგამით» არ იხმარებდით. მე ნიშნავს; მოქრთამავს, ხათრიხ საქმის გაკეთებას, ნათლიობას; ჩვენ ამი-

*) იხ. «დროშა» № 30.

გან ორიოდ მსუბრი წიგნისა და თითო პუნჯურ სვანურის წიგნის გამოცემით «დაუწყაყოფილებია» ეს საჭიროება ხალხისა; უნდა ვიფიქროთ, რომ თუ კი ამ საჭირო საგნებს ასე მოვლოთ ბოლო, არც ეკლესიების «აგებასა და განახლებას» შეუძლებიან ცხარედ და, როგორც ვთქვით, «საზოგადოება» ნელ-ნელა მიიღწვის თავის აღსასრულსავე.

მს არის შინაგანი მხარე «საზოგადოების» მოქმედებისა; ახლა გარეგანს გადავხედოთ თვალს: თუმცა «საზოგადოებას» თავისი კანცელიარია აქვს, მწერლებიცა ჰყავს, რასაკვირველია, სეკრეტარც და რჩევეც, მაგრამ საქმეები ისეა არეულ-დარეული, რომ, რაც უნდა გულისთ გინდოდეთ რისმეს შეტყობა, ვერას გზით ვერ მოახერხებთ. აუცილებელი წლიური ანგარიში ყოველის საზოგადოებისა არსად არის; არსად არის დაბეჭდილი სია საზოგადოების წევრთა, წევრება «საზოგადოებისა» ისე უგეანოდ არის შედგენილი, რომ ვერავინ თავსა და ბოლოს ვერ გაიგებს: მაგალ. რჩევა საზოგადოებისა, შეიღის წევრისაგან შემდგარი, პასუხის მგებელია მხოლოდ «საზოგადოების» წინაშე, მაგრამ «სა-

ზოგადოებას» არა აქვს არავითარი გზარჩევის მოქმედების გასინჯვისა, რადგან წესდებაში ხმაც არ არის ამოღებული საზოგადო კრებებზე და რჩევის წევრი ინიშნებიან თავმჯდომარისაგან. ასე რომ პირველთ შეუძლიანთ იმოქმედონ სრულიად უკონტროლოდ და არავის ნება არა აქვს მათ ანგარიში მოსთხოვოს. რა თქმა უნდა, რომ ამ გვარი «პასუხის-გება» ყოველად უმნიშვნელოა და არც გასაკვირველია, რომ დიდ-ძალმა საზოგადოების ხელში გატარებულმა ფულმა ფუტყად გაიარა და ჩვენს მხარეს სარგებლობა არა მოუტანა-რა. არც ის არის გასაკვირველი, რომ ამ საზოგადოების რჩევამ რიგინად ვერ მოიხმარა უმაღლესად მინიჭებული ადგილი ყარაიასზედ, სადაც სამასხაროდ რაღაც არხები გაიყენა და ბოლოს ზარალის მეტი არა უჩვენა, რა «საზოგადოებას».

ჩივილი და წუწუნი იმაზედ, რომ ამ «საზოგადოებას» არა აქვს კავშირი თითონ ხალხთან და ვერა ჰპოვებს მასში თანაგრძნობას, საქმეს არ უშეველის. «საზოგადოებამ» დიდი ხანია, რაც თავი დაანება წიგნების თარგმნასა და ბეჭდვასა, ეხლა სკოლებზედაც ხელს იღებს და მალე ეკლესიების

განახლებებზედ ფიქრითაც აღარ შეიწუხებს თავსა. მაშასადამე, თითონ საზოგადოებასვე ეჭირვება ცოტაოდენი «განახლება», თუ საზოგადოების რჩევას არ უნდა, რომ მალე მისდამი რწმუნებულ საქმეს ანდერძი აუგოს. ამისათვის საჭიროა, — «საზოგადოების» წესდება გადახედული და შესწორებული იქმნას იმ აზრით, რომ უმეტესი კავშირი დამკვიდრდეს იმასა და ხალხს შორის. უნდა საწევრო ფულის რაოდენობა შემცირდეს, თორემ ეხლა ბევრს არავის შეუძლიან 250 და 200 მანათის შეტანა წელიწადში. რაკი ასე შეიცვლება წესდება, მაშინ წევრებად ადგილობრივ ბევრნი ჩაწერებიან და შესაძლებელიც შეიქმნება საზოგადო კრების შედგენა. მაშინ რჩევა ნამდვილია და არა თვალის მოსატყუებლად პასუხის-მგებელი შეიქმნება საზოგადოების წინაშე.

შინაური ძროხისა

საძაგელი ამინდი დაიჭირა მთილისში თებერვალმა: არცა თბილა და არც თუ რიგინადა ცივა, რომ ცოტათი მოჰყინოს. არის რაღაც შუათანა ატმოსფერა, რომელიც მხო-

თი არ გეხელმძღვანია, საქმე დაუარულად არ გაუკეთებია კომისიისა; კარი ღია გექანდა; ყველას ჰქონდა ნება შემოსვლისა იქ, სადაც კომისია მუშაობდა. დიდს სიამოვნებით მივიღებდით ხოლმე კერძო პირთა რჩევას და შენიშვნას.

მ. კუთხანი. ბ. პ.—შვილს, მგონი, განზრახვით არ მოსელოა, რომ ეხმარნა ეს შეუსაბამო სიტყვა «მიდგომით» და მით მიეყენებინა შეუარაცყოფა კომისიისათვის, რომელმაც ასრე სინიღისიანად იზრომა და ასრე დროიანად შეასრულა თავისი მალაღი დანიშნულება. მაგრამ ამასაც ვიტყვი, რომ ბ. პ.—ხასიათად სჭირს ამ გვარი, გაგებდავ და ვიტყვი, თავხედი საქციელი, და ძალიან ადვილად შეიძლება ვიფიქროთ, რომ მან ეს სიტყვა «მიდგომით» იხმარა განძრახ და მით მიაყენა შეუარაცყოფა კომისიის წევრთა. შოველს შემთხვევაში, ჩემის აზრით, ბ. ს. პ.—შვილმა უნდა უსათუოდ მოითხოვოს თ. რ. შირსთავის წინაშე და აგრეთვე მთელ კომისიის და თავად-აზნაურთა კრებისა ბაღიში, ან გავიდეს.

— ბაღიში, ბაღიში! უნდა, უნდა მოიხადოს! დაიძახა ერთ-ხმივ ხალხმა.

ბ. პ.—შვილი მოჰკლა ამ სიტყვებმა; სახეზე დასხა ოფლმა; ზოგი ამბობდა, რომ ეს ოფლი არის ოფლი შიშისაო, ზოგი — სირცხვილისაო. სირცხვილისა რა მოგახსენოთ, მაგრამ შიშისა კი იყო. მანა ბ. პ.—ს სირცხვილის ოფლი გამოუვა?! მანა როდისმე სინიღისს დაუწავს მისი გული?! მანა როდისმე მას გული ასტრუკებია კეთილი საქმისადმი?! ნუ იფიქრებთ, ნუ!!

საჭიროდ ვრაცხ, რომ გავაცნო მკითხველს ეს შესანიშნავი ეგზემ-

პლიარი აღმნიშნის ჯიშისა, გავაცნო მას მისი ზნეობითი სახე, გავაცნო სულის სადგური ბ. ს. პ.—შვილისა: წარმოდგინეთ შუა ტანის კაცი, ჯმუხი, კისერთან წახრილი; პირი ამ კაცს მუდამ სუფთად აქვს გაპარსული; უღეაშები გააწიკინებული; თვალები მეტად მსხვილი... ამ ვაჭბატონს ყველა სძულს და სანაცლოდ ყველას ეგ სძულს და თვისის «ზნეობის სისუფთავის» გამო არად მიიჩნია შიფიანის სიტყვები: «ან ბაღიში მოითხოვოს, ან საზოგადოების ზალიდამ გავიდეს». ამაზედ უარესი დამართეს ერთ ქამად ამას, მაგრამ ყურით არ შეიბერტყა; ფარისეველივით პირი სუფთად დაიბანა და ხალხს განწმენდილად ეჩვენა.

ამ ბატონის ზნეობითი სახის დასახატავად ერთ ფაქტს კიდევ მოვიყვან: ერთ დროს ძმური კამპანია საღილზედ ღვინოს შეექცეოდა; სცეს ბახუსს ჯეროვანი პატივი-რად! ტოლუმბაში მგვლიშისა, ძმა ამ ზნეობის ჭურისა, ყველასაგან ცნობილი, როგორც ჭკუიანი და პატიოსანი ქართველი, მოიგონებს შესანიშნავს სადღეგრძელოს: ყველამ შეფარდებით დასახელოს რომელიმე ბოროტი პირი ჩვენ ქართველობაში, ძველსა თუ ახალს ცხოვრებაში, როგორც წარსული ქართულის ისტორიად, ისრე აწყრო ცხოვრებიდამ და ის საძაგელი და ქვეყნის მანვე პირი შევაჩვენოთ». ითქვა, გათავდა. მადაატყავეს ძველი და ახალი ცხოვრება საქართველოსი, შეაჩვენეს თურმე და თითოც ქართულად შეუკურთხეს ყველას. მოჯერდა ტოლუმბაში თავის ავან-ჩავანებით საძაგელი ხალხის ხსენებით.

— ბატონო ტოლუმბაშო! ყველა

კარგად სთქვი, ყველამ ღირსეული ჯილდო მიიღო; ყველა ამ ქვეყნიდამ გამოადღეგრძელე, მაგრამ ერთი ისეთი პირი დაგჩა, რომელიც ყველაზე თავს სდგას სისაძაგლით.

— აბა ვინა, სთქვი.
— ნუ კი გეწყინება და ეს ს., შენს ძმას, ... და აქ ქართველურად დაამწყალობლა...

იქნება, ბევრს ეჩვენოს მეტად ზოგიერთების სახის საქვეყნოდ გამოტანა. იქნება, სთქვან, რომ ვისთვის რა საინტერესოა მაგათი პარტრეტების საქვეყნოდ გამოკიდება; მაგრამ მე მეტად არ მიმაჩნია და მერე იმისთანა პირების ზნეობითი პარტრეტის საქვეყნოდ გამოკიდება, რომელიც მუდამ ქამს ჩვენს დაშლილს ერთობას უფრო შლიან, რომელიც ქართველობას უარყოფენ გროშების გულისთვის, თუკი ეს გროშები უნდა მოხმარდეს საზოგადო საქმეს. ჩვენ ვიცით და ვიცნობთ იმისთანა პირებს, რომელნიც ბაღში წასასვლელად ასორას თუმანს გადაჰყრიან რომელიმე «მოღნი მალაზინში», რომელთაც თითო საკაბე ცოლისა უჯდებათ არა ნაკლებ ასის თუმნისა; ჩვენ ვიცით იმისთანა პირნი, რომელნიც ღამეში ოც-ორმოც თუმნობით ხარჯავენ, უკაცრავლი პაუხია და კიდევ უკაცრავლი, — რომელიმე გათუთხნული როსკ...თვის, და საზოგადო საქმისთვის გროშების შეწირვა სიკვდილად მიაჩნიათ. აი, სწორედ ამისთანა პირნი იყენენ წინააღმდეგნი კომისიისაგან დაწესებულის გარდასახადის გაღებისა, აი, სწორედ ამისთანაი წუწუნიებდენ თავიანთ შეუძლებლობაზედ. მაგანა ამათთანა ბატონების პარტრეტების საქვეყნოდ გამოკიდება და მათი საქვეყნოდ შეჩვენება მადლი არ

ლოდ აღნობს თოვლსა და აყენებს ერთს უშველებელს ტალახს. საითაც გაიხედო, მუხლამდის ტალახია. სწორედ ამისთანა საძაგელს ამინდს უნდა მივაწეროთ, რომ, იანერის გასულიდამ მოკიდებული ღღებდის, ძალიან იკლო ცხერის შემორეკამ მბილისში. ამის გამო, რასაკვირველია, ცხვარზე ფასმა მეტად აიწია: კატასავით ჩამოთხელებული თოხლი დღეს იყიდება 3—4 მანათად; ზოგჯერა ჰნახავთ უნახავსა და გაუგონარს ამბავს, რომ ჭედილა, რომელსაც არ გამოვა ხორცი 1 1/2 ფუთი, იყიდება 7—9 მანათად ცალი. ასეთი სიძვირით სარგებლობენ მთილისთან ახლო-მახლო მცხოვრებნი გლეხნი, მომეტებულად თათრის ჩოდრები, რომელნიც, ამინდის მიუხედავად, ჭკვასა ხმარობენ, ჩამოჰყავთ მბილისში ცხვარი და, ამ სიძვირისა გამო, ერთი ორადა გებულობენ ფულსა. ამასთან ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს აუარებელი ტალახი აგრე რკვად არ აზიანებს ცხვარსა, — თითქმის ერთი შემთხვევაც არა ყოფილა, რომ ვინმე ჩოდარს ეჩივლოს ცხერის გაუფუჭებაზე და ზიანზე, ცხვარი სალად ჩამოდის და ჩქარაცა სალდება. ასე რომ, თუ ცხერის ჩამორეკვა შემცირდა, ეგ უფრო მეცხვა-

არის?! ჩემის აზრით, ამათი სახელი უნდა გარდაეცეთ იმ მომავალ შეილებს, რომელნიც თავად-აზნაურთა გამოღებულის ფულით აღიზნებიან მომავალს სასწავლებელში, უნდა გარდაეცეთ, რომ როდისმე წააწყდენ თავიანთ სასწავლებლის დაფუძნების ისტორიას და შეაჩვენონ, წყევით მოიხსენონ ის პირნი, რომელნიც საქმეს კალთას სწევდენ. «თეთრული თაობა პასუხის-მგებელია შთამომავლობის წინაშე მართა მისთვის, რაც მას შეეძლო გაეკეთებინა და არ გააკეთა», — ამბობს ერთი შესანიშნავი რუსის სწავლული პუბლიცისტი. მაგათუ ისინი სრულგებთ გასაქმებელნი არ არიან, რომელნიც არამტოუ შეძლებისა-და-კვალად ეხმარებიან საქმეს, არამედ სრულიად უნდათ მისი მოსპობა?! არა, არა, ბატონებო! შოველმა პატიოსანმა პირმა უნდა შეაჩვენოს ესენი, და ამიტომ გადაეც და შემდგეშიაც გადავსცემ მკითხველ ქართველობას ყოველი უმსგავსო ქართველის სურათს.

მაშ, აბა, შეუდგეთ სურათების ხატვას: ახ, ნეტამც თუ ეს ვაჭ-ბატონი ვინა ბრძანდება, რომ ასე მელასავით დაძვრება ხალხში, ჩურჩულობს, აქეზებს, ეუბნება ყველას მოკლებას; ამტკიცებს, რომ ფულს თუმცა გასწერენ, მაგრამ მისი მოკრება ყოველად შეუძლებელია; რა ღონის-ძიება უნდა მოახერხონ, მოიგონონ, რომ თავად-აზნაურობას შეწუხება არ მიადგეს; «ლისტები» აქვთ აღებული და ვერას ართმევენ და ამ ფულს როგორ გამოართმევენ: «თუ მინისტრი დაამტკიცებს და, მაშასადამე, საქმეს კანონიერი სახე მიეცემა, ისე ღამაზად გადაგახდევინებენ, რომ სულ მზე მალა იყოს», ეუბნებიან ამ ქვე-



რეგის სიზარმაციითა და გაუბედობით უნდა ახსნას, ვიდრე იმითი, ვითომც ცხვარს ეზარალებოდეს რამ ტალახში გამოარეკით.

შაბათს, მეორე საათის ნახევარზედ შუა ღლის შემდეგ, გაქურდეს საპერის ქუჩაზედ რესტორანის პატრონი, მიხეილ წვერავა, რომლის ცოლიც ამ დროს ბაზარში ყოფილიყო. მურდს გაუტყბია ჯერ კარის კლიტე და შემდეგ კამოდი, საიდანაც წაუღია ოც-და-სამი თუმნის ღირებული სხვა-და-სხვა ოქროს და ვერცხლის ნივთიულობა, რომელზედაც, რასაკვირველია, გამოძიება დანიშნული.

ლენხუმიდგანა გეწერენ: გავრცელდა ხმა, ვითომც ზოგიერთმა მემამულეებს განზრახვა აქვთ მისცენ თხოვნა გუბერნატორს იმის თაობაზე, რომ გლენ-კაცებს აღეკრძალოს გადაჭრილს მიწებში (წნადელს) გარეთ დარჩენილებში) შესვლა და მუშაობა, რადგანაც ეს მიწები გლენებს საკუთრებად მიანათო. საზოგადოდ, როგორც კორრესპონდენტი იწერება, გლენ-კაცობისაგან მამულების შესყიდვის საქმე წარმატებაში ვერ მიდის.

მძრომს.—მიჰყავს ამასვე, ამ მუნდროსანს, ერთი ახალ-გაზდა, თავ-მო-მწონე, ახლად წვერ-ულვამ შებიბინებული თავადი თ. რ. მ.—სთან და ეუბნება: «ამას შეძლება არა აქვს, ოცი თუმანი აწერია; მგნეწება, რომ ჩამომწერეთო, და გთხოვთ—ქ გადაუგდო კინწი ნიშნად ღიდის თხოვნისა—ათ თუმანში ჩასწერეთა».

—ქმწვილო, რა გნებავთ გაიგოთ? მკითხება თავადი რევაზი.

—რამდენი შაწერია ფული, ეუბნება ახალ-გაზდა თავადი. თ. რევაზი გასინჯავს სიას და ამოიკითხავს: თავადს თარხან-მაურავოვს (ამასა და ამას) ოცი თუმანი. შეგიძლიანთ მისცეთ ოცი თუმანი, თუ მოგიშალოთ, ეკითხება თ. რ. მ.—ი.

—მოგართმევთ ოც თუმანს, შენი ჰირიმე! როგორ გამიჭირდება,—ეუბნება ახალ-გაზდა თავადი.—წარმოიდგინეთ ამ თავადის მცველი ანგელოზის მდგომარეობა.—ქმწვილო, ამას თვით სურს ოცი თუმანი და თქვენ რად გინდათ, რომ უთუოდ და უთუოდ უარი ათქმევინოთ,—ეუბნება მუნდროსანს თ. რ. მ.—ი და მობრუნდება, რომ აღარ იხილოს სახე იმ კაცისა, რომელსაც პირზე შეახმა თვისი ოინები. იცით, ვინ გახლავთ ეს ვითომდა მჭარველი ანგელოზი თავად-აზნაურთა ჯიბეებისა? შთამომავალი დიდი მოურავის ბიორგი სააკაძისა. მხლა ამ შთამომავალს... მუნდირი ჩაუკვამს, უკაცრავად—დაუშაბუნია; შეილები—თუ ჰყავს—სახელმწიფოდ დაეხდებიან და რად მოინდომებს ფულის გაღებას; ჯერ იქამდინ ვერ ასულა, რომ პირადი ინტერესი გაარჩიოს საზოგადო ინტერესიდან. და ან რა ხელს მისცემს.

ამბობენ, რომ ამ პარასკევს, მართვლთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების სასარგებლოდ იქნება წარმოდგენილი დრამა «სამშობლო» თ. ღ. მისთაისის დრამატიულის დასის არტისტებისა და სცენის მოყვარეთა მიერ.

„დროშის“ კორესპონდენცია.

მუთაისი, 10 თებერვალს. ამ თვის შვიდის სხდომაზე მუთაისის საბჭოს აღუძრავს კითხვა შესახებ საქალბო გიმნაზიაში სტიპენდიების დანიშნისა. ჩვენ არა ვყოფილვართ ამ სხდომაზე, გაგონილს მოგახსენებთ. თურმე ახალმა საბჭომ აღიარა დიდი შეცდომილება წინანდელი საბჭოსი ამ სტიპენდიების განაწილებაზე. ზოგიერთ ხმოსანთ წინადადება მიუციათ სხდომისათვის: შემდეგისათვის ამ გვარი შეცდომის ასაცილებლად სტიპენდიების დანიშნა მიენდოთ საქალბო გიმნაზიის პედაგოგიურ რჩევასაო; პედაგოგიური რჩევა უფრო იცნობს მდგომარეობას მოსწავლეთა და უფრო მიუღვამელად იმოქმედებს, ვიდრე ჩვენაო. ამ წინადადებას

ღმერთო! მს მუნდროსანი, მისი წუწუნი და ძრომა არა ფერია შედარებით ბ. ზ. მ.—ს წუწუნი-ჩივილთან. საბრალოს ადამიანის ფერი და ნიშან-წყალი დაჰკარგოდა; ხან ვის შესჩივლებდა და ხან ვის, რომ მე ღარიბი ვარ, რომ მე ჩემ ძმებთან გაუყრელი ვარ და ამიტომ სამთავ ძმებს—მე და ორს სხვას—ერთად უნდა დააწეროთ ორმოცი თუმანიო. მუბნებიან ამ საცოდავს ჩხირ-პაიკას, რომ შენი ძმები კიდევაც ითაკილებენ, რომ ეს შენი აზრი შეიტყონ, რომ შენი სამიგისო რა გიჭირს; ხარ უშვილო—უძეო, გაქვს ორგან მამული—მამა-პაპური და ცოლეთური, რომ რომ... და სხვ., მაგრამ კედელს ცერცეს შეაყრით, ისეე ჩამოაცვივა. შაბებზრა საზოგადოება ურიული ღიჭინით ამ ეაქ-ბატონმა: ხან წინ მოუბრინა სტოლს, ხან უკან მოუღდა ბ. წინამძღოლს, მაგრამ მისი აღმუთოება არარას შეედლო.

—თუ ღირსად დაგინახვენ მოკლებაზე, მოგიკლონ,—ეუბნება წინამძღოლი ლაკონიურად და სწერს რაღაცას.

მართის სიტყვით, საცოდავ მთხოვრებს წარმოადგენდნ ბბ. მა—ვი და ვილაც ბ—ს—ძე, რომლებსაც კუტი-გლახებივით გაეშვირათ ხელები და ითხოვდენ გროშების მოკლებას. აი, აი, აი! სადამდე შეუძლიან დამდაბლება ადამიანის სულს! რითი გარჩევიან ეს გლახები იმ გლახებისგან, რომელთაც ფებს ვერ აუქცევს ადამიანი მბილისის ქუჩებზე? ღიდი რითიმე გარჩევიან. პირველნი არიან სულით გლახანი; მეორენი კი—ქუჩა-ქუჩა მათხოვარნი—მარტო სხეულით გლახანი.

თურმე უმეტესი ნაწილი ხმოსანთა წინააღმდეგა და სტიპენდიების დანიშნის უფლება ისევე თათბარსაბჭომ და ნარჩუნა. ჩვენ სამართლიანად მოგვანია ეს გარდაწყვეტილება. წინანდელმა შეცდომილებამ უარი-კი არ უნდა გვათქმევინოს ჩვენს უფლებებზე, არამედ გაასწოროს ჩვენი ნაკლებლები, რომ კვალად აღარ შეეცდეთ. ხმოსნები უფრო ახლო არიან ხალხთან და უფრო კარგად იცნობენ ყველას ვინაობას, ვიდრე პედაგოგიური რჩევა რომელიმე სასწავლებლისა. საკმაოა მხოლოდ მათი სინიღისიანობა საქმის სიმართლით დადგენისათვის. შარდა ამისა, სხვის გარევა ჩვენს საკუთარ საქმეებში აენებს თვით-მმართველობის ხასიათს და ამტკიცებს ჩვენს სისუსტეს და ზნეობით უყარვისობას.

შემდეგი სხდომა იყო ცხრას ამ თვისას. ამ სხდომაზე-კი განდლით. ღიდი ამბავი იყო, დიდი ბაასი და შეტაკება. ღვით ეხლა არაფერი გეიჭირს—ორატორები ბევრი გყოლია, მეტადრე, თუ ღმერთმა არ მოგვიშალა ენა-წყლიანის და ენა-მეტყველის აღ—ძეს თავი, ფიქრი არაფრისა აღარ უნდა გეკონდეს. მს ბატონი ამას წინად წინააღმდეგი იყო თვით-

—მეჰ, ვერც მაგას უშველა იბუზმენტიანმა საყელომა და პოლტის ოდენა... ჯვარმა,—სთქვა ერთმა ხანში შესულმა აზნაურმა ზ. მ.—ზე, რომელიც გაფითრებული და იმედდაკარგული გამოედა ზალიდამ. თ. იოსებ სიციშვილი წამოდგება და ლაპარაკობს მძიმედ, დაბალის ხმით, მაგრამ გარკვევით და შეგნებით; ეს განლაღთ ძველი, ანუ უკედ ვსთქვათ, პირველი ქართველი სტუდენტთაგანი. ბატონებო, დრო გადის და ჯერ კი ვერა ფერს აზრს ვერ დაეღვამივართ. მგონი, ყველასათვის ცხადია, რომ ეხლანდელ გაჭირებულ მდგომარეობიდან თუ გვიხსნის სწავლა-განათლება, თორემ სხვა ყველა ტყუილია; ცხადია ისიც, რომ მომეტებული ნაწილი თავად-აზნაურთა კომისიის მიერ შედგენილი სიების მიღებისა და დამტკიცების მსურველია. შამონდა მხოლოდ რამდენიმე პირი, რომელნიც წუწუნობენ, რომ დაგვიკლეთო, და ისეთნიც გამომჩნდენ, რომელნიც უარს ამბობენ ფულის გაღებაზე. ჩვენ მაგათ რას ვუტყვით: ოღონდ ეს საქმე ნუ ჩაიშლება, ოღონდ დღესვე გათავდეს ეს კითხვა; ამაზე პროტოკოლი შესდგეს და ხელი მოეწეროს და ვინც უარს არა შერება ფულის შეტანაზე, იმათთვის მე შემოვიტან; მხოლოდ დამისახელოთ, რამდენია. მს ლიტონი სიტყვა არ არის—ამას დავამტკიცებ საქმით. ბატონებო,—აქ მიუბრუნდა თ. ი. ც—ი საზოგადოებას,—ვისაც არა ესურთ ამ საზოგადო საქმისთვის ფულის შეწირვა, გთხოვთ მიბძანდეთ სტოლთან, გადმოილოთ სია და წაიშალოთ თქვენი სახელი და გვარი. მინც ამოიშლება, მე ვაძლეე, მე ვღებ იმათთვის ფულს, რადგან და-

მმართველობისა, პოლიციას ამჯობინებდა; ეხლა-კი სწავლულებზე კბილებს აკრატუნებს.

ამ სხდომის უმთავრესი საგანი იყო განხილვა ჯამაგირების გამგეობის მოსამსახურე პირთა. ზოგიერთ სურდათ ცოტაოდნად შემეცირებინათ ჯამაგირები, რადგანაც ქალაქის სიღარიბე და მდგომარეობა ამას მოითხოვდა. ბევრმა არ მოიწონა ზოგიერთთა სურვილი. ქალაქის თავს დიდი ხარჯი აქვს, ვიზიტებს აკეთებს სო, მიდის და მოდისო, ცოტა ჯამაგირით კარგს ნასწავლს ვერ ვიშოვნიოთ, კინტოს ხომ ვერ ამოვირჩევთო,—აი ამ გვარი საბუთები მოჰყავდათ იმ პირთა, რომელნიც ჯამაგირის შემცირების წინააღმდეგნი იყვნენ. საქმე გათავდა მით, რომ ქალაქის თავის ჯამაგირი სამი-ათასი მანათი ისევე დარჩა. ზამგეობის წევრთათას ორასი მანათი ათასად გაუხადეს. მდივანსაც, რაც ჰქონდა ჯამაგირი (1000 მ.), ის მიუნიტეს. დანარჩენი წვრილი ხარჯის შემცირება ისე ცოტაა, რომ მათი ხსენებაც არა ღირს.

აკლდება თანხას იმათის ამოშლით. ნულარ ჰყოყმობთ, მიბძანდით, ბატონებო!

თ. რ. ერისთავი. მობრძანდით, ბატონებო! თ. ი. სიციშვილი მართალს ბძანებს; რომ ბოლო მოელოს ამდენს ლაპარაკს, კარგი იქნება ესე გათავდეს საქმე: ვისაც არ გნებავთ, ინებეთ, თქვენი ჰირიმეთ; და ამოიშალეთ თავი; სხვას რაღად უშლით.

—მისაც არ უნდა, მეორე ოთახში გავიდეს, რომ გაეიგოთ რამდენი მოწინააღმდეგეა და რამდენია მომხრე ამ კეთილი საქმისა,—სთქვა ერთმა.

—როგორ? საზოგადოებიდამაც გვითხოვთ? უმაღლესე გავყავთ,—ჰყვიროდა მემარჯვენე. როგორ თუ? როგორ თუ? ბორგავდა და არ იცოდა, რა ექმნა უკლანქო ლომსა.

—ბატონებო! ძითხვა საკმაოდ გამოიკვია; თითქმის ყველას სურს სიების მიღება და დამტკიცება. მსურთ კენჭის-ყრა მოგახდინოთ,—თუ ერთხმად მიიღებთ სთქვა წინამძღომელმა.

—ერთხმად, ერთხმად! იგრილა საზოგადოებამ. შანა უნდა ამ წმინდა საქმეს შევი ლაქა დაესხას ვისგანმე კენჭის-ყრის დროს?

—მაშ აი, ბატონებო, პროტოკოლს წავიკითხავთ და ხელი მოაწერეთ. წინამძღოლმა წაიკითხა სიების მიღებაზე პროტოკოლი, საზოგადოებამ ხელი მოაწერა. სხდომა დაიხურა სამს საათზე. ხუთს საათზე ისევე შეიკრიბნენ შემდეგი კითხვების დასადგენად.

(შემდეგი იქნება)



წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო!

კომიტეტი, დაწესებული აღდგინე ბისათვის ძველის ქართულის გალობისა, მოუწოდს ღირსი მთლიონის საიმპერატორო თეატრისას ბ. ტრუფის, ბ. შარიძის და სხვათა ნოტების მსოფნეთა, რომელთაც შეუძლიანთ გადაღება ნოტებზედ ქართულის გალობისა. ამასთანავე, კომიტეტი სთხოვს საერო პირთაც მომხმადენ ამ თვის თხუთმეტს, ოთხშაბათს, საღამოს ექვსს საათზედ, მ. არხიმანდრიტის მაკარის სადგომში, სქართველო-ნიკრეთის სინოდის კანტორის შენობაში, სადაც კომიტეტს ექნება სხდომა ამ საგნის შესახებ.

თავმჯდომარე კომიტეტისა არხიმანდრიტი მაკარი.

13 თებერვალს 1884 წ.

ტელეგრაფი

საკუთარს კორესპონდენციასაგან.

13 თებერვალს.

ჭუთაისი. დღეს სადამოზე ქალაქის თავად ისევ ღუგა ასათიანი ამოიჩინეს; გარდა ზოგიერთა პირებისა, ყველანი გამაოფილნი არიან იმის ამოჩინვისა.

(ჩრდილოეთის სააგენტოსია.)

13 თებერვალს.

მოსკოვი. რკინის გზის ბორღინოს სტანციის უფროსი მოკვდა შავი ყვავილით; სტანციის კარებები დაკეტილია, მატარებლები აღარა ჩერდებიან ბორღინოს სტანციაზე.

პირი. ინგლისის მთავრობის ბრძანებით, ხვალ გაიღამებენ ჯარი ოსმან-დიქმის წინააღმდეგ. გენერალმა გრაამმა გაგზავნა გუშინ 200 კაცი ცხენოსანი ჯარისა. ტრინკიტატში 4,300 ინგლისის სალდათია; როგორც ამტკიცებენ, ქალაქის გარშემო შემორტყმული მტრის რიცხვი 10-12 ათას კაცამდე არის.

14 თებერვალს.

შაზანი. წუხელის მაზურის ნომრებში სტუდენტმა მიხაილოვმა ორჯერ ესროლა რევოლვერი ეპატერინობურგის ოლქის სამსჯავროს პროკურორის ამხანაგს ბალუტინს და დასჭრა ხელსა და გვერდში. უგანსენელი ჭრილობა ძლიერ საშიშია. ამ ამბის მიზეზი არის ბალუტინისაგან მიხაილოვის ცოლის შეურაცხება.

სუაქიმი. მტერი ქალაქს ნახევარ-მიღზედ მოუახლოვდა და ინგლისის დარაჯების გუნდას უგან დაწვევინა. აქურ გარნიზონში მყოფი ზანგი სალდათები ამბობენ და იპქებებიან აჯანყებულების მხარეზე გადასვლას. სუაქიმის დიდი შიში მიუღლის. ტოკარის დაცემის ამბავი სრულიად მართალი გამოდგა.

ბელების მხარეზე გადასვლას. სუაქიმის დიდი შიში მიუღლის. ტოკარის დაცემის ამბავი სრულიად მართალი გამოდგა.

პირი. ორ ბონაპარტელ პრინცს შორის განხეთქილება თემცა პრინცი ნაპოლეონის სიტყვის შემდეგ მოსპობილი ეგონათ, მაგრამ ეს განხეთქილება ხელახლად აიშალა. გაზეთს «პეი ში» პოლ-დე-კასანიაცი, მომხრე პრინცის ვიქტორისა დასცინის პრინცი ერომ ნაპოლეონის სიტყვას და ამტკიცებს, რომ არავითარი კომიტეტი კონსტიტუციის გარდასახილავად არ არსებობს და ეს მხოლოდ მასწრაობა არის.

განსაღებანი

ინგლისის გალანია

Maison de confiance

შეღარეთ ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაი
1 მ. 10 კ.	1 მ. 40 კ.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2—
— — 1—80	— — 2—50
საუკეთესო 2—	— — 3—

იქვე ისეილება სხვა საქონელიც: თაფლები, რეკლავები, კრავატები, ჭერკლეი, ჩაიანები, გასაღებები, ღანები, გოგუბი, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, გაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახსოვები, მაკინტოშის გალანკორი—სულ უკლავური 25-დან 50 პრორენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსაჲ მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდან 1,000 მანეთამდე საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ისდას. (100—82)

ბმ-ია არჩენს მშობიარებს, დიქტერიტით ავადმყოფებს და აგრეთვე მუწუკიანებს უებარი მალამოთი. ადრესი: პატარა წყლის ქუჩა, სახლი № 7. (7—4)

კ. ნულუკიის სტამბა

ქეთისში

დაიბეჭდა და გამოვიდა ქართული «ქალის კალმდარი», სადაც არის სომხური დღესასწაულების ცნობები და ისტორიული შემთხვევები. ფასი სამი აბაზი ას-ასობით შეიღვეს წესიერა პატივი.

ისეილება

«ვეშხის ტაშოსანი» შ. რუსთველის თხზულება სურათით, თაი შაური, უსურათოდ შეიღვი შაური ას-ასობით შეიღვეს წესიერა პატივი. (30—28)

ქუჩნალი „ივერია“

(წელიწადი მერვე)

ამ 1884 წ. იანვრიდამ ქუჩნალი «ივერია» გამოვა ყოველ-თთვე და თთვე იმავე სახით და სიერცით, როგორც აქამომდე გამოლიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება

თბილისში: შვედროვის სააგენტოში და «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება საპონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლებში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან, სადაც ზედა სართულში «დროების» რედაქციაა და იქვე, შუა სართულში, რედაქცია «ივერიისა».

ქეთისში, შალაძეების წიგნის მაღაზიაში, ბუღართან.

ბათუმში, «წერა-კითხვის საზოგადოების» სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

ფასი მთელის წლისა 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის—5 მან. ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრცით უნდა დაიბარონ ქუჩნალი: **Въ Тифлисъ, въ редакцію журнала «Иверія».**

ხეღრი ფული ხელის-მომწერმა ქუჩნალის დაბარებისათავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

(10—9) რედაქტორი და გამომცემელი იღ. ჭავჭავაძე.

ინგლისის მაღაზიაში

თიის-აოგუზანი

გაკ-გასტარი




ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუში-სა 2 მან., გაგზავნიით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისეილება ქინის ზომდა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სწოტკები თავის ტკივილის მოსასშობლად, ტუალეტის საზონი, ღუხუბი და სხვ.

(100—96)

საკლობუსო



კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, უოკელის, „ხელისათვის“—25% იაფად, ვინც სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანკრები, რეკლავები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაყნიკები, შორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, საღესი, წარაშეები ჭურჭლების საწმადად (ბორაკისა), თუთრულისათვის, პატარა ხაღვი, ატაყისათვის კლიონკები, ტასტები, სავარძლები, სარკები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რუკეტები, გატერპასები, მზის-სათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეჭკები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, ზომიჩი, ქამრები, სარტულები, საუელური, პრობკები, სპრობკები, კრანები, ფილტრები, შროტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტის მაკინტოშები, კრავები, საუქიმო ქაღალდი გატერ-გლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ.

(100—30)

სტამბა

ევთიმი ივ. ხელაძისა.

თბილისში, ღორის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუეთის კვლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სწოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევთ საქმის მომტანთ. სტამბა გისრულობს გორრეკტურის გასწორებას და ბროშურების გაკეთებას, უკეთუ ზაგაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ.

Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе. (100—30)